ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N 01-08/169 ბრძანების
დანართი 1

(კოდიფიცირებული ცვლილებებით/დამატებებით:
15.02.2019, N01-02/15 ; 19.11.2019 , N01-02/180 ;
24.07.2020 , N01-02/89 ; 26.10.2021, N01-02/188 ;
*20.12.2023, N01-02/233; **18.06.2025, N01-02/126).***

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი (შემდეგში –„წესი“) შემუშავებულია „საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ბსუ-ს წესდების საფუძველზე.
2. წესის მიზანია დაადგინოს ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის - პროფესიული განათლების მასწავლებლების (შემდეგში ,,მასწავლებელი“) შერჩევის (სამსახურში მიღების), სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების გაცემის წესი.
3. წინამდებარე წესის აღსრულებაზე პასუხისმგებელია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში ,,ცენტრი“).

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი

1. ბსუ-ში პროფესიული განათლების ფარგლებში სასწავლო პროცესს წარმართავენ წინამდებარე წესის შესაბამისად მიღებული (მოწვეული) პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც: ა) გააჩნიათ პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კომპეტენციები; ბ) აქვთ შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, ან/და პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების დიპლომი ან/და სამუშაო გამოცდილებით (ცნობა მუშაობის გამოცდილების შესახებ) ან/და წინმსწრები (ფორმალური, არაფორმალური მათ შორის უცხოეთში მიღებული) განათლების აღიარების დოკუმენტით. პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენციების ირიბ დადასტურებად შესაძლოა ჩაითვალოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლების მიზნებისათვის ბსუ-ს მიერ ჩატარებულ ტრენინგში ან/და გარე პროვაიდერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობის შედეგები (ტრენინგებში მონაწილეობის მატერიალურ მტკიცებულებებად განიხილება: სერტიფიკატები ან/და დასწრების ფურცლები); სტუდენტების კითხვარების, ასევე შიდა მონიტორინგის ან ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი. *(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233; **18.06.2025, N01-02/126).***

2.პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე არ შეიძლება

დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება *(**ცვლილება** - 15.02.2019 , N01-02/15; 20.12.2023, N01-02/233; **18.06.2025,** N01-02/126).*

2[1]. *(დამატება -24.07.2020 , N01-02/89); (ცვლილება -26.10.2021, N01-02/188) **(ამოღებულია** - 20.12.2023, N01-02/233)*

3. მასწავლებელთა შერჩევა ხდება შესაბამისი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და ცენტრის მიერ, ერთობლივად (შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, კანდიდატების კვალიფიკაციის, შრომითი გამოცდილებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გათვალისწინებით). თუკი ამ წესით ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის პირების შერჩევა, მასწავლებელთა შესარჩევად ცხადდება ღია კონკურსი.

4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რომელშიც უნდა მიეთითოს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო მოდულის დასახელება; პროგრამის და მოდულის განხორციელების ვადები; მისაღები პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაო დატვირთვის მოცულობა საათებში; სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო; კონკურსის ვადები (კონკურსის გამოცხადება; დოკუმენტაციის მიღება; კონკურსის ჩატარება; შედეგების გამოცხადება და კონკურსის საორგანიზაციო სხვა საკითხები). *(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233).*

5. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით.

6. ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ამ წესით შერჩეულ მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ბსუ-ს განაცხადის წარდგენის შემთხვევაში მოსაწვევ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ფორმდება <u>პირობითი</u> შრომითი ხელშეკრულება, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. *(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233).*

7. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მტკიცდება წინამდებარე წესით შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა. *(ცვლილება - 24.07.2020 , N01-02/89; 20.12.2023, N01-02/233)*

8. მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის რძანება გამოიცემა ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის თითოეული მასწავლებლის მიერ ხელმოწერილი ,,შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ“ (შემდეგში ,,შეთანხმება“, შევსებული წინამდებარე წესზე თანდართული **N1 ფორმის** შესაბამისად). *(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233).*

9. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შევსებული **შეთანხმების ფორმა** შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: *(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233).*

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და დონე;

ბ) პროგრამის განხორციელების ვადები;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

ე) მოდულის დასახელება;

დ) მოდულის განხორციელების პერიოდი და ადგილი (მისამართი, შემდეგში - მასწავლებლის სამუშაო ადგილი);

ე) პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, სალექციო/პრაქტიკული ჯგუფების რაოდენობა, პრაქტიკული ჯგუფების რაოდენობა, კრედიტების რაოდენობა, საათების რაოდენობა (საკონტაქტო, შეფასება, დამოუკიდებელი), სულ ასანაზღაურებელი საათების რაოდენობა.“;

10.ბსუ-ს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე ბსუ-ს პროფესიული მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი უზრუნველყოფს მოდულების

განმახორციელებელ პერსონალთან (ვისთანაც უკვე გაფორმებულია პირობითი შრომითი ხელშეკრულება ან უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება) წინასწარ კომუნიკაციას და მათ მიერ ,,შეთანხმების" ფორმების შევსებას, რითაც დადასტურებულად ჩაითვლება სამუშაო დატვირთვის შესრულებაზე ამ პირთა მზაობა. *(ცვლილება - 19.11.2019 , N01-02/180)*

11. იმ შემთხვევაში, თუკი ამ წესით შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებელი უარს განაცხადებს ,,შეთანხმების" ფორმის შევსებაზე და შესაბამისად, მოდულის წარმართვაზე, ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, შესაძლებელია სხვა საუკეთესო მონაცემების მქონე სპეციალისტის ან კონკურსში მონაწილე საუკეთესო შედეგის მქონე სხვა კონკურსანტი მოწვეული იქნეს მასწავლებლად ან გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი.

12. შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში (თუკი ობიექტური გარემოების გამო კონკურსის ჩატარება დააყოვნებს სასწავლო პროცესის დაწყებას), დასაშვებია იმ პირის მოწვევა მასწავლებლად, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება აკმაყოფილებს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ან მოდულის იმ კომპონენტის (რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია პროფესიული განათლების მასწავლებელი) გაუქმება, შეიძლება გახდეს ამ მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა *(დამატება - 15.02.2019 , N01-02/15); (ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233)*

1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება (აისახება):

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

ბ) განსახორციელებელი მოდული;

გ) პროგრამაზე მასწავლებლის საერთო სამუშაო დატვირთვა (საათების რაოდენობა);

დ) პროგრამაზე მასწავლებლის საერთო სამუშაო დატვირთვის შესრულების პერიოდი და ადგილი;

ე) ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ბსუ-ში დაკავებული თანამდებობის (არსებობის შემთხვევაში); მასწავლებლის სამუშაო დატვირთვის სხვა ბრძანებების; მოქმედი შრომითი ხელშეკრულების ვადის ან/და ახალი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროების შესახებ;

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში, გარდა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული და სასწავლო გეგმების/ცხრილების შესაბამისად ჩასატარებელი სააუდიტორიო/საკონტაქტო სამუშაოებისა (ლექცია/პრაქტიკული/შეფასება/დამოუკიდებელი მუშაობა) შედის:

ა) სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტის მიერ შესრულებული ნაშრომის შეფასება, სტუდენტისთვის შეფასების შედეგების გაცნობა და უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების მიზნით;

ბ) პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტების შენახვა და მოდულის დასრულებისთანავე ცენტრისათვის გადაცემა;

გ) პროფესიულ სტუდენტებისთვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის გაწევა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;

დ) შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება/ჩატარებაში მონაწილეობა (საჭიროების შემთხევაში);

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, მათ შორის ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კურსებზე და შეხვედრებზე დასწრება;

ვ) სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა;

ზ) შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების შესრულება (თუკი ასეთს ითვალისწინებს);

თ) მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ცენტრისა და ბსუ-ს ადმინისტრაციის მითითებების/სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, **ასევე შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ ბსუ-ს სამართლებრივ აქტებში** (შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო რეგულაციებში) **შეტანილი ცვლილებების შესახებ სამართლებრივი აქტები,** ცენტრის მიერ ეგზავნება შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს, მათ მიერ შრომით ხელშეკრულებაში/შეთანხმებაში აღნიშნულ ელექტრონულ ფოსტაზე.";

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების გაცემა

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის საათობრივი ანაზღაურება (ტარიფი) განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც აისახება მასწავლებელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში.

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი შედეგის/მოდულის დასრულების შემდეგ ავსებს „შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების განაცხადს" (ამ წესის თანდართული N2 ფორმის შესაბამისად) და დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან (პროფესიული სტუდენტის აღრიცხვის ფურცელი; სტუდენტის შეფასების უწყისი, სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ერთად წარუდგენს ცენტრს (მათი მიღება ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში). *(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233)*

3. ცენტრი ახდენს წარდგენილი ,,შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების განაცხადისა" და თანდართული დოკუმენტების დამუშავებას და ამზადებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტს შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის საათობრივი ანაზღაურების გაცემის შესახებ. *(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233)*

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“

N1 ფორმა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეთანხმება სამუშაო დატვირთვის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დონე):

პროგრამის განხორციელების ვადები:

პროფესიული განათლების მასწავლებელი:

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

#	მოდულის დასახელება	მოდულის განხორციელების პერიოდი	მოდულის განხორციელების ადგილი (მისამართი)	პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სალექციო/პრაქტიკული ჯგუფების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობა	შესასრულებელი საათების რაოდენობა						სულ ასანაზღაურებელი საათების რაოდენობა
							საკონტაქტო		შეფასება		დამოუკიდებელი		
							გეგმით	სულ	გეგმით	სულ	გეგმით	სულ	

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი:

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი:

პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

პროფესიული განათლების მასწავლებელი:

(ცვლილება - 20.12.2023, N01-02/233)

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
განმახორციელებელიპერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის
განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის

N2 ფორმა

,,შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების განაცხადი“

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
ბსუ-ში მოქმედი შრომითი ხელშეკრულების თარიღი და ნომერი	
შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და დონე	
მოდულის სახელწოდება	
მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღი	
პროფესიული სტუდენტების ჯგუფების რაოდენობა	
ჩატარებული სამუშაო - საკონტაქტო საათების რაოდენობა	
შეფასების საათების რაოდენობა	
სულ ასანაზღაურებელი საათების რაოდენობა	
პროფესიული განათლების **მასწავლებლის ხელმოწერა**	
განაცხადის შევსების თარიღი	
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლებისცენტრის **სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ხელმოწერა**	○ ვადასტურებ ○ არ ვადასტურებ (განიმარტება მიზეზი) _____
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის **ფინანსური მენეჯერის ხელმოწერა**	o ვადასტურებ o არ ვადასტურებ (განიმარტება მიზეზი) ---------- ----------
განაცხადის ცენტრის მიერ დამოწმების თარიღი (ივსება ფინანსური მენეჯერის მიერ)	

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი
განათლების ცენტრის დირექტორი: _____